საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

ქ. ბათუმი 2011 წლის 3 ოქტომბერი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 71

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის წარჩინებულ სტუდენტთა საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო სახელობითი სტიპენდიების მოსაპოვებლად კონკურსის გამოცხადებისა და ვადების დადგენის შესახებ

„ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის I პუნქტის, 43-ე მუხლის პირველი პუნქტის „ი" ქვეპუნქტისა და ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის წარჩინებულ სტუდენტთა სახელობითი სტიპენდიის გაცემის წესის პირველი მუხლის საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. გამოცხადდეს კონკურსი საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო სახელობით სტიპენდიებზე:

საუნივერსიტეტო სტიპენდია:

აბუსერისძე ტბელის სახელობის - 1 ადგილი;

ფრიდონ ხალვაშის სახელობის -1 ადგილი.

საფაკულტეტო სტიპენდია :

სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების ფაკულტეტზე - იუსუფ კობალაძის სახელობის - 1 ადგილი;

მუსიკის ფაკულტეტზე - ზაქარია ფალიაშვილის სახელობის - 1 ადგილი;

განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე - ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის - 1 ადგილი.

2. კონკურსის ჩატარების ვადები განისაზღვროს რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

3. ინფორმაცია კონკურსის გამოცხადების შესახებ გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და საინფორმაციო დაფებზე.

4. დადგენილებით იხელმძღვანელონ სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტმა, ბუღალტერიამ, სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების, მუსიკის, განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტებმა და სტუდენტურმა თვითმმართველობამ.

5. დადგენილება დასამტკიცებლად წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს.

6. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე **ე. მესხია**